დანართი 1

დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 10 იანვრის 03/26 ბრძანებით

შპს
„ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“

სტუდენტური თვითმმართველობის
დებულება

ბათუმი

2020

სარჩევი

თავი I. ზოგადი დებულებები 4

მუხლი 1. დებულების მიზანი და მოქმედების სფერო 4

მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველობის სტატუსი 4

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და პრინციპები 4

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროები 5

თავი II. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები და უფლება-მოვალეობები 5

მუხლი 1. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები 5

მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველობის უფლება-მოვალეობები 6

თავი III. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი 7

მუხლი 1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის სტატუსი 7

მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადა და მისი ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები 7

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლება-მოვალეობები 8

თავი IV. სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები და მათი განხორციელების წესი 9

მუხლი 1. სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა 9

მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრება 9

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრების უფლება-მოვალეობები 10

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის სტატუსი 10

მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა და მისი ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები 11

მუხლი 6. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები 11

მუხლი 7. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის სტატუსი 12

მუხლი 8. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები 13

მუხლი 9. სტუდენტური თვითმმართველობის კომიტეტი 13

თავი V. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების არჩევის წესი 13

მუხლი 1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების არჩევნების დანიშვნა 13

მუხლი 2. საარჩევნო კომისია და დამკვირვებლები 14

მუხლი 3. საარჩევნო სიების დამტკიცება, კანდიდატების რეგისტრაცია და საარჩევნო დოკუმენტაცია 14
მუხლი 4. წინასაარჩევნო კამპანია 15
მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა არჩევა 15
მუხლი 6. კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცესი 15
მუხლი 7. არჩევნების შედეგების გამოცხადება, გამარჯვებული კანდიდატების გამოვლენა და განმეორებითი არჩევნები 17
მუხლი 8. არჩევნების შედეგების გასაჩივრება და გადაწყვეტილების მიღება 17
მუხლი 9. საბოლოო შედეგების გამოქვეყნება 17
თავი VI. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევის წესი 18
მუხლი 1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის კანდიდატის რეგისტრაცია 18
მუხლი 2. კენჭისყრა და ხმების დათვლის პროცესი 18
მუხლი 3. არჩევნების შედეგების გამოცხადება, გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა და განმეორებითი არჩევნები 19
თავი VII. იმპიჩმენტი 19
მუხლი 1. იმპიჩმენტის საქმისწარმოების დაწყების საფუძვლები 19
მუხლი 2. იმპიჩმენტის საქმის განხილვა 20
მუხლი 3. გადაწყვეტილების მიღება და მისი გასაჩივრების წესი 20
თავი VIII. დასკვნითი დებულებები 20
მუხლი 1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი 21
მუხლი 2. დებულების ძალაში შესვლა და მისი სამართლებრივი შედეგები 21

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების მიზანი და მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დებულებით განისაზღვრება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“-ს (შემდეგში - „სასწავლო უნივერსიტეტი“) სტუდენტური თვითმმართველობის სტატუსი, საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, უფლებამოსილების განხორციელების პრინციპები, მიზნები, უფლება-მოვალეობები, სტრუქტურა, საქმიანობის განხორციელების, არჩევისა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი.
2. დებულების მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა როგორც სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრებისათვის, ასევე, სასწავლო უნივერსიტეტის ყველა სხვა ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულისათვის.

მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველობის სტატუსი

1. სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული არჩევნების წესით არჩეულ სტუდენტების წარმომადგენლობით კოლეგიურ ორგანოს.
2. სტუდენტური თვითმმართველობა ამ დებულებით, საქართველოს კანონმდებლობითა და სასწავლო უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს ახორციელებს დამოუკიდებლად და მის საქმიანობაში პირდაპირი ან ნებისმიერი ირიბი ჩარევა ან/და ზემოქმედება დაუშვებელია.
3. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს და მას ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა.
4. სტუდენტურ თვითმმართველობას შესაძლებელია ჰქონდეს ოფიციალური ლოგო, ბეჭედი, ბლანკი, საბანკო ანგარიში, ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა და სხვა ატრიბუტიკა, რომელსაც ამტკიცებს დელეგატთა საერთო კრება.
5. სტუდენტური თვითმმართველობის ადგილსამყოფელია სასწავლო უნივერსიტეტის შენობა.

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და პრინციპები

1. სტუდენტური თვითმმართველობა საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლებრივი აქტების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების,

უნივერსიტეტის წესდებისა და დებულების, ამ დებულებისა და სხვა შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2. სტუდენტური თვითმმართველობა საქმიანობას ახორციელებს შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

   ა) დამოუკიდებლობა და აკადემიური თავისუფლება;

   ბ) პოლიტიკური ნეიტრალიზმი და სიტყვის თავისუფლება;

   გ) სამართლიანობა და თანასწორობა;

   დ) დისკრიმინაციის დაუშვებლობა და თანასწორი მოპყრობა, განურჩევლად პირის რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის გამო;

   ე) ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა;

   ვ) გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში სტუდენტების ჩართულობა;

   ზ) კონკურსებისა და არჩევნების საჯაროობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა.

3. სტუდენტური თვითმმართველობა არის პოლიტიკურად ნეიტრალური სტუდენტური გაერთიანება და დაუშვებელია მისი საქმიანობის ფარგლებში ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულის შექმნა, ასევე პოლიტიკური აგიტაციისა და პროპაგანდის წარმოება.

4. სტუდენტური თვითმმართველობა, შესაბამისი ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, პირთა შორის უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით, ვალდებულია განსაკუთრებული პირობები შეუქმნას ან/და მიანიჭოს უპირატესობა ასეთი საჭიროების მქონე პირებს.

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროები

1. სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:

   ა) სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი;

   ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პროექტებიდან მიღებული შემოსავლები;

   გ) ნებაყოფლობითი შემოწირულობები და გრანტები;

   დ) სხვა კანონით ნებადართული შემოსავლები.

თავი II. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები და უფლება-მოვალეობები

მუხლი 1. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები

1. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

ა) სტუდენტების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა, როგორც სასწავლო უნივერსიტეტთან, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ბ) ხელი შეუწყოს სტუდენტებს მათი უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში;

გ) დაეხმაროს სტუდენტებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალკალიფიციური განათლების მიღებასა და კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში;

დ) უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა, როგორც სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში, ასევე, სხვადასხვა სოციალურ-კულტურულ, საქველმოქმედო, სპორტულ და გასართობ ღონისძიებებში;

ე) დაეხმაროს ახალწვეულ სტუდენტებს ადაპტირებასა და სასწავლო უნივერსიტეტში ინტეგრაციაში;

ვ) ხელი შეუწყოს სასწავლო უნივერსიტეტში მრავალფეროვანი და მულტიკულტურული გარემოს ჩამოყალიბებას, მათ წარმოჩენასა და სხვადასხვა ეროვნების სტუდენტების დაახლოებას;

ზ) ხელი შეუწყოს სტუდენტებს ლიდერობისა და ცვლილებებზე ორიენტირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში;

თ) მოახდინოს სასწავლო უნივერსიტეტში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და შეიმუშაოს მისი აღმოფხვრის გზები;

ი) უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოს სტუდენტთა ინფორმირებულობა ყველა საჭირო ინფორმაციით.

მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველობის უფლება-მოვალეობები

1. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტური თვითმმართველობის უფლება-მოვალეოებას წარმოადგენს:

ა) სტუდენტების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმების შემუშავება და მათი იმპლემენტაცია;

ბ) სტუდენტთა ინტერესების წარმომადგენლობა და ადვოკატირება სასწავლო უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებსა და მესამე პირებთან ურთიერთობებში;

გ) სასწავლო უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების (აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭო და სხვა.) საქმიანობაში ჩართულობა და შესაბამისი ინიციატივების წარმოდგენა;

დ) სასწავლო უნივერსიტეტის მართვასა და საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობის ხარისხთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება და მათი სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულებისათვის წარდგენა;

ე) სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება და შესაბამისი შენიშვნების სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულებისათვის წარდგენა;

ვ) ტრენინგების, ვორქშოპების, კონფერენციების, დებატების, დისკუსიების, ინელექტუალურ თამაშებისა და სხვა საგანმანათლებლო-სამეცნიერო, სოციალურ-კულტურული, სპორტული, საქველმოქმედო და გასართობი ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება;

ზ) სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აგრეთვე სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებთან ურთიერთობების დამყარება და ერთობლივი პროექტების განხორციელება;

თ) სტუდენტებთან პერიოდული შეხვედრების უზრუნველყოფა, მიმდინარე საკითხებთან და დაგეგმილ პროექტებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება, მათი მოთხოვნილებების იდენტიფიცირება, კმაყოფილების კვლევა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

ი) სხვა ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც გამომდინარეობის სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებიდან.

თავი III. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი

მუხლი 1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის სტატუსი

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი არის ამ დებულებით დადგენილი წესით არჩეული წარმომადგენელი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს პირადად.
2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი საქმიანობას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულებისგან დამოუკიდებლობის პრინციპის საფუძველზე და მის საქმიანობაში პირდაპირი ან ირიბი ჩარევა ან/და ზემოქმედება დაუშვებელია.
3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი შესაძლებელია იკავებდეს სტუდენტურ თვითმმართველობის სტრუქტურაში არსებულ ნებისმიერ თანამდებობას, აქვე, დაუშვებელია მას ეკავოს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ან/და აკადემიური თანამდებობა.

მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადა და მისი ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი აირჩევა 2 წლის ვადით, რომელიც იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალარჩეული დელეგატების საერთო კრების შეკრებისთანავე.

2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
გ) სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ან/და აკადემიური თანამდებობის დაკავება;
დ) სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც გამორიცხავს მის მიერ დელეგატის ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობას;
ე) იმპიჩმენტი.
3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მის ადგილს იკავებს დელეგატის არჩევნებში შემდეგი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატურა, ხოლო ასეთის არარსებობის ან საუკეთესო ერთნაირი შედეგის მქონე 2 ან მეტი კანდიდატის არსებობის შემთხვევაში, ამ დებულებით განსაზღვრული წესით უფლებამოსილების დარჩენილი ვადით აირჩევა ახალი დელეგატი.

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლება-მოვალეობები

1. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლება-მოვალეობას წარმოადგენს:
ა) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში, დაესწროს დელეგატთა საერთო კრებას და იქონიოს სათათბირო ხმის უფლება;
ბ) მონაწილეობა მიიღოს სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების კოლეგიურ სხდომებში და წარმოადგინოს თავისი ინიციატივები;
გ) შეიმუშაოს ტრენინგები, კონფერენციები, ვორქშოპები და სხვა აღნიშნული ღონისძიებები და ისინი დასამტკიცებლად წარუდგინოს დელეგატთა საერთო კრებას;
დ) მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის მიერ განსახორციელებელი პროექტების, განხორციელებული საქმიანობის, გაწეული ხარჯებისა და სტუდენტურ თვითმმართველობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა საკითხთან დაკავშირებით;
ე) განახორციელოს სხვა ქმედებები, რომლებიც გამომდინარეობს სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებიდან და დელეგატის სტატუსისგან.

თავი IV. სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები და მათი განხორციელების წესი

მუხლი 1. სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა

1. სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა შედგება გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოსგან, აღმასრულებელი ორგანოსგან, სტუდენტური ომბუდსმენისგან და კომიტეტებისგან.
2. გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრება.
3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას ახორციელებს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.
4. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი არჩეული დელეგატებისგან ბრძანებით ნიშნავს ვიცე-პრეზიდენტს.
5. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ამავდროულად წარმოადგენს სტუდენტურ ომბუდსმენს.
6. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრების გადაწყვეტილებით იქმნება კომიტეტები.

მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრება

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრება წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც შედგება არჩეული დელეგატებისგან.
2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრება ტარდება სასწავლო სემესტრში ორჯერ მაინც. საჭიროებიდან გამომდინარე, მოიწვევა რიგგარეშე საერთო კრება.
3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა მორიგი საერთო კრება მოიწვევა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ.
4. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტსა და დელეგატების არანაკლებ 1/4-ს.
5. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრების ჩატარებამდე არანაკლებ 7 დღით ადრე სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი დელეგატებს აცნობს კრების ჩატარების თარიღსა და დღის წესრიგს.
6. დღის წესრიგის მიღებიდან 2 დღის ვადაში, თითოეულ დელეგატს უფლება აქვს დამატება შეიტანოს წარმოდგენილ დღის წესრიგის პროექტში, რომელიც უნდა აისახოს საბოლოო დღის წესრიგში.

7. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება დელეგატთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3.
8. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრება, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ხმა.
9. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ვიცე-პრეზიდენტი.

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრების უფლება-მოვალეობები

1. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრების უფლება-მოვალეობას წარმოადგენს:

   ა) სტუდენტური თვითმმართველობის სამოქმედო გეგმის (წლიური ან/და სემესტრული) დამტკიცება;

   ბ) დაგეგმილი პროექტების, ღონისძიებებისა და მათი ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება;

   გ) შემუშავებული ინიციატივებისა და შენიშვნების დამტკიცება და შესაბამისი ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულებისათვის წარდგენა;

   დ) განხორციელებული პროექტებით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცება;

   ე) განხორციელებული პროექტების ბიუჯეტის ხარჯვის კონტროლი, ეფექტიანობის შემოწმება და მონიტორინგი;

   ვ) გასაფორმებელი ხელშეკრულებების, მემორანდუმებისა და სხვა სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვა და დამტკიცება;

   ზ) სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციებში შემავალ სხვა საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება.

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის სტატუსი

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი არის ამ დებულებით დადგენილი წესით სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრების მიერ არჩეული უმაღლესი აღმასრულებელი პირი. გარდა ამისა, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი წარმოადგენს სტუდენტურ ომბუდსმენს.

2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ამავდროულად არის სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი, შესაბამისად, მასზე სრულად ვრცელდება ამ დებულებით დელეგატისათვის დადგენილი დამოუკიდებლობის გარანტიები, უფლება-მოვალეობები და შეზღუდვები.

მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა და მისი ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა 2 წლის ვადით, რომელიც იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე.
2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

   ა) პირადი განცხადება;

   ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

   გ) სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ან/და აკადემიური თანამდებობის დაკავება;

   დ) სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც გამორიცხავს მის მიერ სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობას.

   ე) იმპიჩმენტი.
3. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მის ადგილს იკავებს პრეზიდენტის არჩევნებში შემდეგი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატურა, ხოლო ასეთის არარსებობის ან საუკეთესო ერთნაირი შედეგის მქონე 2 ან მეტი კანდიდატის არსებობის შემთხვევაში, ამ დებულებით განსაზღვრული წესით უფლებამოსილების დარჩენილი ვადით აირჩევა ახალი პრეზიდენტი.

მუხლი 6. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები

1. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლება-მოვალეობას წარმოადგენს:

   ა) სტუდენტური თვითმმართველობის სასწავლო უნივერსიტეტთან და მესამე პირებთან წარმომადგენლობა;

   ბ) სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრების მოწვევის უზრუნველყოფა და ხელმძღვანელობა;

   გ) სტუდენტური თვითმმართველობის სახელით გასაფორმებელი ხელშეკრულების, მემორანდუმისა და სხვა სამართლებრივი აქტების ხელმოწერა;

დ) სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება, დელეგატთა კრებისთვის დასამტკიცებლად წარდგენა და სტუდენტებისათვის გაცნობა;

ე) სხვა ქმედებების განხორციელება, რომელიც საჭიროა სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსასრულებლად.

2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ამავდროულად ასრულებს სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატისათვის განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს.
3. სტუდენტური ომბუდსმენის მანდატის საფუძველზე, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლება-მოვალეობას წარმოადგენს:

ა) სტუდენტთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმების შემუშავება და მათი იმპლემენტაცია;

ბ) სტუდენტთა უფლებრივი მდგომარეობის რეგულარული შესწავლა, მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი მყისიერი ღონისძიებების გატარება;

გ) სტუდენტური უფლებების დაცვის ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება და ამგვარი ორგანიზაციების საქმიანობაში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფა;

დ) სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ანგარიშების მომზადება (ყოველსემესტრული/ყოველწლიური), რომელშიც უნდა აისახოს გამოვლენილი დარღვევები, პრობლემური საკითხები და რეკომენდაციები;

ე) სხვა ქმედებების განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგს, დაცვასა და გაუმჯობესებას.

მუხლი 7. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის სტატუსი

1. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი არის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე, არჩეული დელეგატების სიიდან დანიშნული აღმასრულებელი პირი.
2. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი ამავდროულად არის სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი, შესაბამისად, მასზე სრულად ვრცელდება ამ დებულებით დელეგატისათვის დადგენილი დამოუკიდებლობის გარანტიები, უფლება-მოვალეობები და შეზღუდვები.
3. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობიდან გათავისუფლება დასაშვებია პრეზიდენტის ბრძანებით.

მუხლი 8. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები

1. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი ასრულებს პრეზიდენტის მიერ მასზე დელეგირებულ უფლება-მოვალეობებს.
2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს ვიცე-პრეზიდენტი.
3. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი ამავდროულად ასრულებს სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატისათვის განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 9. სტუდენტური თვითმმართველობის კომიტეტი

1. სტუდენტური თვითმმართველობის კომიტეტი არის, დელეგატთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შექმნილი კოლეგიური სტრუქტურული ერთეული, რომელიც ამ კომიტეტისათვის დადგენილ საკითხებზე შეიმუშავებს პროექტებს, წინადადებებს, რეკომენდაციებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს.
2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრების გადაწყვეტილებით დასაშვებია რამდენიმე კომიტეტის გაერთიანება ან/და გაყოფა ან/და გაუქმება.
3. ყველა სტუდენტს აქვს უფლება გაწევრიანდეს და ჩაერთოს კომიტეტის საქმიანობაში.
4. სტუდენტს უფლება აქვს ერთდროულად გაწევრიანდეს არაუმეტეს 2 კომიტეტში.

თავი V. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების არჩევის წესი

მუხლი 1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების არჩევნების დანიშვნა

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 1 თვის ვადაში, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ნიშნავს მორიგი არჩევნების თარიღს და ამტკიცებს საარჩევნო კომისიას არანაკლებ 4 წევრის ოდენობით.
2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების არჩევნების დანიშვნის შესახებ ინფორმაცია უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის სტუდენტებს, ხოლო ბრძანება გამოიკრას სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას.

მუხლი 2. საარჩევნო კომისია და დამკვირვებლები

1. საარჩევნო კომისია, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ნეიტრალურობის პრინციპის დაცვით, ამ დებულებით განსაზღვრული წესით უზრუნველყოფს არჩევნების ორგანიზებას.
2. დაუშვებელია საარჩევნო კომისიაში შედიოდეს დელეგატად არჩევის მსურველი კანდიდატი ან/და პირი, რომელსაც პირდაპირი ან ირიბი ინტერესი აქვს არჩევნების შედეგებთან მიმართებით.
3. სტუდენტებს უფლება აქვთ მოითხოვონ საარჩევნო კომისიის წევრის აცილება, რასთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილებას იღებს საარჩევნო კომისია.
4. საარჩევნო კომისიის წევრი, რომელსაც გამოუცხადეს აცილება, ამ საკითხის გადაწყვეტაში არ სარგებლობს ხმის უფლებით.
5. საარჩევნო კომისია სიითი შემადგენლობის ხმების უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც ხელმძღვანელობს საარჩევნო პროცესის ორგანიზებას და ხელს აწერს საარჩევნო დოკუმენტაციას.
6. საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის ხმების უმრავლესობით, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
7. სტუდენტურ თვითმმართველობაში დელეგატად არჩევის მსურველ თითოეულ კანდიდატს უფლება აქვს წარმოადგინოს დამკვირვებელი, რომელიც ამავდროულად უნდა იყოს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი.

მუხლი 3. საარჩევნო სიების დამტკიცება, კანდიდატების რეგისტრაცია და საარჩევნო დოკუმენტაცია

1. საარჩევნო კომისია, სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ამტკიცებს ხმის უფლების მქონე სტუდენტთა სიებს.
2. საარჩევნო კომისია, წერილობითი მიმართვის საფუძველზე, რეგისტრაციაში ატარებს სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატად არჩევის მსურველ კანდიდატებს.
3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატად არჩევის რეგისტრაციის ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2 სამუშაო დღეს.
4. რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ, თითოეული კანდიდატი შემთხვევითობის პრინციპით ირჩევს საარჩევნო ნომერს, რის შემდეგაც თითოეულ მათგანს ენიჭება საარჩევნო ნომერი და მტკიცდება კანდიდატების საბოლოო სია.
5. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატად რეგისტრაციისათვის საჭირო მიმართვის, ბიულეტენის, აცილების განცხადების, საჩივრის ფორმასა და

საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციის ფორმას შეიმუშავებს და ამტკიცებს საარჩევნო კომისია.

მუხლი 4. წინასაარჩევნო კამპანია

1. თითოეულ სტუდენტს უფლება აქვს აწარმოოს წინასაარჩევნო კამპანია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო უნივერსიტეტის ჩვეულებრივ სასწავლო საქმიანობას.
2. წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, თითოეულ სტუდენტს უფლება აქვს თანაბრად ისარგებლოს სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და დაუშვებელია რომელიმე კანდიდატის მიმართ არათანასწორი მოპყრობა.
3. წინასაარჩევნო კამპანია წყდება არჩევნების წინა დღის დასრულების მომენტისთანავე, ხოლო არჩევნების დღეს რაიმე სახის აგიტაცია ან კამპანიის წარმოება დაუშვებელია.

მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა არჩევა

1. სასწავლო უნივერსიტეტის თითოეული კურსიდან 2 წლის ვადით აირჩევა სტუდენტური თვითმმართველობის 2 დელეგატი.
2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატად არჩევის მსურველი კანდიდატურისათვის ხმის მიცემის უფლება აქვს იგივე კურსზე რეგისტრირებულ აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტს.
3. არჩევნები ჩატარებულად მიიჩნევა თუ საერთო ჯამში აირჩა სტუდენტური თვითმმართველობის არანაკლებ 6 დელეგატი და ამავდროულად, იმ კურსებიდან, რომლებიდანაც დელეგატად არჩევისათვის კანდიდატურა წამოაყენეს სტუდენტებმა, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე სტუდენტების არანაკლებ 1/3-მა.

მუხლი 6. კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცესი

1. კენჭისყრა იწყება საარჩევნო დღის 10 საათზე და მთავრდება ამავე დღის 16:00 საათზე.
2. კენჭისყრის დღეს შესაბამისი კურსის წარმომადგენელი იღებს საარჩევნო ბიულეტენს, რომელშიც მითითებულია ამ კურსზე რეგისტრირებული დელეგატად არჩევის მსურველი კანდიდატების სახელი, გვარი და მათი საარჩევნო ნომრები.
3. საარჩევნო ბიულეტენის მიღებას სტუდენტი ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი სახელისა და გვარის გასწვრივ ხელმოწერით.
4. საარჩევნო ბიულეტენის მიღების შემდეგ, სტუდენტი შედის სპეციალურად გამოყოფილ საარჩევნო სივრცეში (სადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხმის ფარულად მიცემის შესაძლებლობა) და წრიულად ხაზავს მისთვის სასურველი

კანდიდატურის საარჩევნო ნომერს, რის შემდეგაც, ათავსებს ბიულეტენს სპეციალურ კონვერტში და აგდებს მას შესაბამისი კურსისთვის განკუთვნილ საარჩევნო ყუთში.

5. კენჭისყრა დასრულებულად ითვლება კენჭისყრის ვადის ამოწურვისთანავე, რის შემდეგაც საარჩევნო კომისიის წევრები თითოეული კურსის მიხედვით ითვლიან არჩევნებში გამოცხადებული სტუდენტების რაოდენობას, რომელიც აისახება შემაჯამებელ ოქმში.
6. არჩევნებში გამოცხადებული თითოეული კურსის სტუდენტების რაოდენობის დათვლის შემდეგ, იხსნება ყველაზე დაბალი კურსისათვის განსაზღვრული საარჩევნო ყუთი და ითვლება ხმების რაოდენობა, რის შემდეგაც იგივე პრინციპით თანმიმდევრობით მიმდინარეობს მომდევნო კურსებისათვის გათვალისწინებული საარჩევნო ყუთების გახსნა და ხმების დათვლა.
7. ხმების დათვლის პროცესს უნდა ესწრებოდეს დელეგატად ასარჩევი კანდიდატების მიერ წარმოდგენილი ყველა დამკვირვებელი.
8. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია თუ:

   ა) საარჩევნო ბიულეტენზე არ აღმოჩნდა საარჩევნო კომისიის ხელმომწერი პირის ხელმოწერა და სასწავლო უნივერსიტეტის ბეჭედი;

   ბ) არ არის შემოხაზული რომელიმე კანდიდატის საარჩევნო ნომერი;

   გ) შემოხაზულია 1-ზე მეტი კანდიდატის საარჩევნო ნომერი;

   დ) შეუძლებელია გაირკვეს რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.
9. თითოეული კურსისათვის განკუთვნილი საარჩევნო ყუთის გახსნისა და ხმების დათვლის შემდეგ ივსება შესაბამის კურსზე არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

   ა) კურსზე რეგისტრირებული ხმის უფლების მქონე სტუდენტების რაოდენობა;

   ბ) შესაბამის კურსის მიხედვით, არჩევნებზე გამოცხადებულ სტუდენთა რაოდენობა;

   გ) შესაბამისი კურსისათვის განკუთვნილ საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენების საერთო რაოდენობა;

   დ) ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა;

   ე) შესაბამისი კურსის მიხედვით, თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა.
10. შემაჯამებელ ოქმზე ხელს აწერს საარჩევნო კომისიის ყველა წევრი.

მუხლი 7. არჩევნების შედეგების გამოცხადება, გამარჯვებული კანდიდატების გამოვლენა და განმეორებითი არჩევნები

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების არჩევნებში გამარჯვებულად ითვლება, შესაბამის კურსზე რეგისტრირებული საუკეთესი შედეგის მქონე 1-ლი 2 კანდიდატი.
2. თუ შესაბამის კურსზე რეგისტრირებულმა 2-ზე მეტმა კანდიდატმა დააგროვა ერთნაირი ხმების რაოდენობა იმგვარად, რომ შეუძლებელია 2 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის გამოვლენა, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, ამ დებულებით განსაზღვრული წესით, საუკეთესო თანაბარი ხმების მქონე კანდიდატებს შორის ტარდება განმეორებითი არჩევნები.
3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების არჩევნების შედეგების შესახებ ინფორმაცია უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის სტუდენტებს, ხოლო შემაჯამებელი ოქმისა და არჩევნების შედეგების პირველადი აქტი გამოიკრას სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას.

მუხლი 8. არჩევნების შედეგების გასაჩივრება და გადაწყვეტილების მიღება

1. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში, კანდიდატს უფლება აქვს საარჩევნო კომისიაში შეიტანოს საჩივარი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.
2. საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის მიღებიდან 2 დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება.
3. იმ შემთხვევაში, თუ საჩივრით წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები დადასტურდება და ის ეხება იმგვარ დარღვევას, რომელმაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე, საარჩევნო კომისია იღებს გადაწყვეტილებას ხელახალი არჩევნების ჩატარების შესახებ, რომელიც ჩატარდება რექტორის ბრძანების საფუძველზე, ამ დებულებით დადგენილი ზოგადი წესით.

მუხლი 9. საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

1. საარჩევნო კომისია, განხილულ საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, არჩევნების შედეგებს ამტკიცებს არჩევნების შედეგების საბოლოო აქტით, რომლის გამოქვეყნებისთანავე არჩევნების შედეგები შედის ძალაში.
2. თუ არჩევნების პირველადი აქტის გამოქვეყნებიდან საჩივრების მიღებისათვის დადგენილი 24 საათის ვადაში საარჩევნო კომისიას არ წარედგინება საჩივარი, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ აქტით გათვალისწინებული საარჩევნო შედეგები მიიჩნევა საბოლოო შედეგებად და იგი ძალაში შედის ამ ვადის გასვლისთანავე.

თავი VI. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევის წესი

მუხლი 1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის კანდიდატის რეგისტრაცია

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა პირველი საერთო კრების გამართვამდე, აგრეთვე უშუალოდ კრებაზე, თუმცა არაუგვიანეს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევამდე, თითოეულ დელეგატს უფლება აქვს აღნიშნულ პოზიციაზე წარადგინოს თავისი კანდიდატურა.
2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტად თავისი კანდიდატურის წარმოდგენისათვის, დელეგატმა წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით უნდა აცნობოს დანარჩენ დელეგატებს ამის შესახებ ან განაცხადოს ეს დელეგატთა პირველ საერთო კრებაზე არაუგვიანეს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევამდე.
3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა პირველ საერთო კრებაზე კრების სიითი ხმების უმრავლესობით აირჩევა კრების თავმჯდომარე, რომელიც რეგისტრაციაში ატარებს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტობის კანდიდატებს.
4. რეგისტრაციის პროცესის ამოწურვის შემდეგ, თითოეული კანდიდატი შემთხვევითობის პრინციპით ირჩევს საარჩევნო ნომერს, რის შემდეგაც თითოეულ მათგანს ენიჭება საარჩევნო ნომერი და მტკიცდება კანდიდატების საბოლოო სია.

მუხლი 2. კენჭისყრა და ხმების დათვლის პროცესი

1. თითოეული დელეგატი იღებს საარჩევნო ბიულეტენს, რომელშიც მითითებულია სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტად არჩევის მსურველი კანდიდატების სახელი, გვარი და მათი საარჩევნო ნომრები.
2. საარჩევნო ბიულეტენის მიღების შემდეგ, დელეგატი შედის სპეციალურად გამოყოფილ საარჩევნო სივრცეში (სადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხმის ფარულად მიცემის შესაძლებლობა) და წრიულად ხაზავს მისთვის სასურველი კანდიდატურის საარჩევნო ნომერს, რის შემდეგაც, ათავსებს ბიულეტენს სპეციალურ კონვერტში და აგდებს მას საარჩევნო ყუთში. დელეგატებს უფლება აქვთ თავი შეიკავონ ხმის მიცემისგან.
3. კენჭისყრის დასრულების შემდეგ, იხსნება საარჩევნო ყუთი და იწყება ხმების დათვლა.
4. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია თუ:

   ა) არ არის შემოხაზული რომელიმე კანდიდატის საარჩევნო ნომერი;

   ბ) შემოხაზულია 1-ზე მეტი კანდიდატის საარჩევნო ნომერი;

   გ) შეუძლებელია გაირკვეს რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.

5. საარჩევნო ყუთის გახსნისა და ხმების დათვლის შემდეგ ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:
   ა) დამსწრე დელეგატთა რაოდენობა;
   ბ) დელეგატთა რაოდენობა, რომლებმაც თავი შეიკავეს ხმის მიცემის უფლებისგან;
   გ) საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენების საერთო რაოდენობა;
   დ) ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა;
   ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა.
6. შემაჯამებელ ოქმზე ხელს აწერს საარჩევნო კომისიის ყველა წევრი.

მუხლი 3. არჩევნების შედეგების გამოცხადება, გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა და განმეორებითი არჩევნები

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვებულად ითვლება რეგისტრირებული საუკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი.
2. თუ რეგისტრირებულმა 1-ზე მეტმა კანდიდატმა დააგროვა ერთნაირი ხმების რაოდენობა იმგვარად, რომ შეუძლებელია საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის გამოვლენა, დელეგატთა საერთო კრების თავმჯდომარის გადაწყვეტილების, ამ დებულებით განსაზღვრული წესით, საუკეთესო თანაბარი ხმების მქონე კანდიდატებს შორის ტარდება განმეორებითი არჩევნები.
3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების არჩევნების შედეგების შესახებ ინფორმაცია უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის სტუდენტებს, ხოლო შემაჯამებელი ოქმი გამოიკრას სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას.

თავი VII. იმპიჩმენტი

მუხლი 1. იმპიჩმენტის საქმისწარმოების დაწყების საფუძვლები

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის დაწყების საფუძველია დელეგატების არანაკლებ 2/3-ის მოთხოვნა, რომლებიც მიიჩნევენ რომ სახეზეა დელეგატის ან/და პრეზიდენტის მხრიდან:
   ა) სასწავლო უნივერსიტეტის წესდების ან/და დებულების უხეში დარღვევა;
   ბ) სტუდენტური თვითმმართველობის დებულების უხეში დარღვევა;
   გ) სტუდენტთა ეთიკის კოდექსის უხეში დარღვევა.

მუხლი 2. იმპიჩმენტის საქმის განხილვა

1. პირის წინააღმდეგ იმპიჩმენტის საქმის განხილვის დაწყების შემთხვევაში, მას უფლება აქვს დელეგატთა საერთო კრებაზე წარმოადგინოს თავისი წერილობითი ან/და ზეპირი პოზიცია.
2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საბჭო ვალდებულია სრულყოფილად შეისწავლოს საქმე, დეტალურად გაეცნოს პირის არგუმენტაციას, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს საქმე, გამოითხოვოს ინფორმაცია, რომელიც კავშირშია საქმის გარემოებებთან და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება.
3. პირის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს იმპიჩმენტის საქმის განხილვა, არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია, რაც გულისხმობს, რომ ვიდრე საპირისპირო არ დადასტურდება, ივარაუდება, რომ მისი მხრიდან რაიმე გადაცდომის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
4. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრება ვალდებულია განიხილოს მხოლოდ კანონიერად მოპოვებული მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად ადასტურებენ პირის მხრიდან გადაცდომის ჩადენის ფაქტს, ხოლო ნებისმიერი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება უნდა გადაწყდეს პირის სასარგებლოდ, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს იმპიჩმენტის საქმის განხილვა.

მუხლი 3. გადაწყვეტილების მიღება და მისი გასაჩივრების წესი

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის წესით უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დელეგატთა სიითი შემადგენლობის ყველა წევრის მხარდაჭერა, გარდა იმ პირისა, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს იმპიჩმენტის საქმის განხილვა.
2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრება ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რომელშიც უნდა მიეთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება და საფუძვლები, რომლებსაც დაეყრდნო იგი გადაწყვეტილების გამოტანისას.
3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრების მიერ იმპიჩმენტის წესით პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 თვის ვადაში, პირს უფლება აქვს აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

თავი VIII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაში ცვლილებების ან/და დამატების ან/და ახალი რედაქციის დამტკიცების უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრებას.

მუხლი 2. დებულების ძალაში შესვლა და მისი სამართლებრივი შედეგები

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის რექტორის მიერ დამტკიცებისთანავე.
2. დებულების ძალაში შესვლის მომენტიდან, ძალადაკარგულად გამოცხადდეს მის მიღებამდე გამოცემული სამართლებრივი აქტები, რომლებიც სხვაგვარად აწესრიგებენ ამ დებულებით გათვალისწინებულ დანაწესებს.